თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სამაგისტრო პროგრამებს სწავლების მეთოდების მრავალფეროვნება და უახლესი და მრავალფეროვანი სასწავლო-სამეცნიერო ლიტერატურა გამოარჩევს!

თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სამაგისტრო პროგრამების კურიკულუმში შეტანილი ყველა სავალდებულო და არჩევითი სასწავლო კურსით გათვალისწინებული სასწავლო მასალა (სახელმძღვანელოები, გამოკვლევები, მონოგრაფიები, სამეცნიერო სტატიები...) სრულად მოიცავს დარგის აქტუალურ მიღწევებს, სიახლეებს და უზრუნველყოფს სასწავლო კურსით დასახული მიზნებიდან გამომდინარე სწავლის შედეგების მიღწევას.

მთელ რიგ საგნებში არსებობს საკუთრივ თსუ აკადემიური პერსონალის მიერ სამაგისტრო პროგრამის სტუდენტთათვის შექმნილი ქართულენოვანი ძირითადი თუ დამხმარე სახელმძღვანელოები; საჭიროების შემთხვევაში, მითითებულია თანამედროვე, სიახლეებზე ორიენტირებული დამატებითი ლიტერატურა, რომლის მოძიება სტუდენტს შეუძლია **თსუ ცენტრალურ ბიბლიოთეკაში, ეროვნულ სამეცნიერო ბიბლიოთეკაში, თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ბიბლიოთეკაში, ფაკულტეტის ინსტიტუტებისა და კათედრების ბიბლიოთეკებში,** ნაბეჭდი ან ელექტრონული სახით. ყველა სასწავლო მასალა, რომელიც გამოიყენება კონკრეტულ პროგრამაში, ხელმისაწვდომია სტუდენტისათვის.

საუნივერსიტეტო და საფაკულტეტო ბიბლიოთეკების წიგნადი ფონდის მუდმივი განახლება ხდება როგორც უნივერსიტეტის ბიუჯეტიდან, ისე სხვადასხვა ეროვნული და საერთაშორისო სასწავლო და სამეცნიერო გრანტების ხელშეწყობით, სხვადასხვა ეროვნული და საერთაშორისო ფონდებისა და ორგანიზაციების, კერძო პირების დახმარებით. გაფორმდა თანამშრომლობის მემორანდუმები უნივერსიტეტსა და ქართულ გამომცემლობებთან, რომლის თანახმად, გამომცემლობები ვალდებულებას იღებენ უნივერსიტეტს საჩუქრად გადასცენ ახალი გამოცემები.

უნივერსიტეტს წვდომა აქვს საერთაშორისო ელექტრონულ რესურსებზე, რომელიც მოიცავს ელექტრონულ ჟურნალებსა და ელექტრონულ სახელმძღვანელოებს: EBSCOHost (http://search.epnet.com),Cambridge University Journals (http://journals.cambridge.org), JSTOR (http://www.jstor.org) და სხვ.

აქტიურად ისარგებლე საუნივერსიტეტო საბიბლიოთეკო რესურსებითა და წიგნადი ფონდებით, საერთაშორისო ელექტრონული საბიბლიოთეკო ბაზებით! იყავი დარგის სიახლეებზე ორიენტირებული, იკითხე ბევრი ახალი დარგობრივი სამეცნიერო ლიტერატურა და შეასრულე ხარისხიანი კვლევითი სტუდენტური ნაშრომები!